ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29-62

2023 წლის 25 აგვისტო

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის კოდექსის 240^1 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის დამტკიცებისა და პარკირების, სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანისადმი დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ დაცულ სადგომზე ტრანსპორტირებისა და შენახვის, სატრანსპორტო საშუალების თვლების სპეციალური საშუალებით ბლოკირების საფასურების დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს ცვლილება და დადგენილების:

1. მე-3 მუხლით დამტკიცებული „დანართი 3“ შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

2. 4^1 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მსუბუქი ავტომობილის (გარდა მსუბუქი ავტომობილის ბაზაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებისა), მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარის ოდენობით;“;

ბ) მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მსუბუქი ავტომობილის (გარდა მსუბუქი ავტომობილის ბაზაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებისა), მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 20 ლარის ოდენობით;“;

გ) მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) მსუბუქი ავტომობილის (გარდა მსუბუქი ავტომობილის ბაზაზე არსებული სატრანსპორტო საშუალებისა), მოტოციკლის, კვადროციკლის, მოპედის შემთხვევაში – 150 ლარის ოდენობით;“.

3. 4^1 მუხლს მე-3 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ამ მუხლით დადგენილი საფასურების გადახდა განხორციელდეს უნაღდო ანგარიშსწორებით.“.

4. პირველი მუხლით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის“:

ა) მე-2 მუხლს „შ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ “ ქვეპუნქტი:

„შ[1]) სპეციალური დაცული სადგომი – სატრანსპორტო საშუალებების დგომისათვის განკუთვნილი სადგომი, სადაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაყვანას დაქვემდებარებული, დარღვევით მდგომი სატრანსპორტო საშუალების განთავსება ხორციელდება და აღნიშნული ადგილი დაცულია გარეშე პირების მოხვედრისაგან.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. პარკირების ადგილები აღჭურვილი უნდა იქნეს შესაბამისი საგზაო ნიშნებით, საგზაო მონიშვნებით და დამატებითი ინფორმაციის ნიშნებით (დაფებით), ასევე საგზაო ნიშანს, როგორც წესი, უნდა ახლდეს: ზონალური პარკირების ადგილის და საფასურის, ასევე სპეციალურ დაცულ სადგომზე გადაყვანის ან თვლების ბლოკირების შესახებ მინიშნებები. ამასთან, ყოველ 6 ადგილზე განთავსებული უნდა იყოს პარკირების აღმნიშვნელი 1 საგზაო ნიშანი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**